



2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლის
ფინანსური ანგარიშგება

შპს ემ ელ თი ლოჯისტიკს

მსს ფასს

სარჩევი

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციაზე	Error! Bookmark not defined.
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	7
2.1. წარდგენის საფუძვლები	7
2.2. მომზადების საფუძვლები	7
2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	8
2.4. ამონაგების აღიარება	8
2.5. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები	9
2.6. მოგების გადასახადი	9
2.7. ძირითადი საშუალებები	10
2.8. არამატერიალური აქტივები	11
2.9. მარაგები	11
2.10. კაპიტალი	11
2.11. უცხოური ვალუტა	11
2.12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	12
1. ძირითადი საშუალებები	13
2. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	14
3. სავაჭრო ვალდებულებები	14
4. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14
5. სესხები	15
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	31დეკემბერი 2024	31დეკემბერი 2023	31დეკემბერი 2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	2 577 452	2,992,711	2,930,931
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		2 577 452	2,992,711	2,930,931
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები		1 170 889	831,106	186,517
ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები		127 512	186,578	176,536
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		351 359	378,435	834,474
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2	65 269	659,394	232,383
მთლიანი მიმდინარე აქტივები		1 715 028	2,055,514	1,429,910
მთლიანი აქტივები		4 292 481	5,048,225	4,360,841
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		39	39	39
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(248 328)	302,957	(192,620)
მთლიანი კაპიტალი		(248 289)	302,995	(192,582)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	3	3 660 962	3,934,452	2,819,390
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები		3 660 962	3,934,452	2,819,390
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		22 787	31,402	31,154
სავაჭრო ვალდებულებები	4	233 701	274,672	1,280,370
სხვა ვალდებულებები		623 320	504,703	422,510
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		879 808	810,777	1,734,033
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		4 292 480	5,048,225	4,360,841



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შემოსავალი რეალიზაციიდან		3 988 625	5,950,092	7,067,336
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(3 254 585)	(3,600,634)	(6,080,648)
მთლიანი მოგება		734 040	2,349,459	986,688
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(862 003)	(910,876)	(699,748)
მთლიანი საოპერაციო ხარჯები		(862 003)	(910,876)	(699,748)
საოპერაციო მოგება		(127 963)	1,438,583	286,940
ფინანსური ხარჯი		(361 976)	(171,811)	(634,828)
(ზარალი) / მოგება სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან		(62 933)	153,551	766,573
სხვა არასაოპერაციო შემოსულობა (ზარალი)		7 065	(898,942)	65
მოგება დაბეგვრამდე		(545 807)	521,380	418,750
მოგების გადასახადის ხარჯი				-
საანგარიშო პერიოდის მოგება		(545 807)	521,380	418,750
სხვა სრული შემოსავალი				
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(545 807)	521,380	418,750



კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ზარალი	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	(856,520)	(856,520)
წლის მოგება/ზარალი		(418.750)	(418.750)
წლის სხვა შემოსავალი	-	-	-
წლის მთლიანი შემოსავალი	-	(418.750)	(418.750)
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული ზრდა	39	245.150	39
დივიდენდები	-	-	-
ოპერაციები მფლობელებთან	39	-	39
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	39	(192.620)	(192,581)
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	(192.620)	(192.620)
წლის მოგება/ზარალი		521,380	521,380
წლის სხვა შემოსავალი	-	(25.804)	(25.804)
წლის მთლიანი შემოსავალი	0	495.577	495.577
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული ზრდა	39		
დივიდენდები	-	-	-
ოპერაციები მფლობელებთან	-		
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	39	302,957	302,957
2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	302 957	302 957
წლის მოგება/ზარალი		(545 807)	(545 807)
წლის სხვა შემოსავალი	-	(5 478)	(5 478)
წლის მთლიანი შემოსავალი	0	(551 285)	(551 285)
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული ზრდა	39	-	39
დივიდენდები	-	-	-
ოპერაციები მფლობელებთან	-	-	39
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	39	(248 328)	(248 289)



ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება		(545 807,00)	521,380.00
შესწორებები შემდეგი მუხლებისათვის:			
ცვეთა და ამორტიზაცია	3	178 347,84	167,317.46
ფინანსური ხარჯი		361 976,01	171,811.37
ფინანსური შემოსავალი			
მოგება / ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	11	(62 932,57)	153,550.75
საოპერაციო მოგება / (ზარალი) საბრუნავი კაპიტალის შეცვლამდე		(68 416.00)	1,014,060.00
სავაჭრო და სხვა მისაღები მოთხოვნების ცვლილება	4	27 076,80	456,038.84
ავანსებისა და სხვა მოკლევადიანი აქტივების ცვლილება		70 562,98	(32,256.14)
მარაგების ცვლილება		1 264,20	(644,589.03)
საგადასახადო ვალდებულებების ცვლილება			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების ცვლილება	7	(40 971,31)	(966,519.01)
გადასახდელი ხელფასების ცვლილება			
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ცვლილება		118 617,16	71,081.35
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		108 133,00	(102,183.00)
გადახდილი პროცენტები		(361,976.01)	(171,811.37)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(253 843)	(273,994)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
არამატერიალური აქტივების შეძენა			(1,186.44)
ძირითადი საშუალებების შეძენა	3	(129 359,98)	(211,361.83)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(129 360)	(212,548)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხი	6	747 128,98	2,488,557.60
გადახდილი სესხი		(1 020 620)	(1,421,453.10)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		(273 491)	1,067,105
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა			
ზრდა		(656 694)	580,563
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის		659 394	232,383
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულზე		62 568,57	(153,550.75)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის		65 269	659,395

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ემ ელ თი ლოჯისტიკს” დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2018 წლის 23 მარტს და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 402081153 ორგანიზაცია წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც ოპერირებს თბილისში საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე.

კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო. მისი ძირითადი საქმიანობის სახეს წარმოადგენს ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანობები. კომპანიას ჰყავს ორი პარტნიორი. ეროვნებით სომეხი ჰაიკ მელიქიანი და ქართველი გიორგი ბიწაძე. პარტნიორებისა და მათი წილების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

პარტნიორი	2023 %
AP0686365, ჰაიკ მელიქიანი	49,00
01023005788, გიორგი ბიწაძე	51,00
სულ	100.00

შპს “ემ ელ თი ლოჯისტიკს”-ში დასაქმებულია საშუალოდ 14 ადამიანი, კომპანიაში დაცულია და ყურადღება ექცევა შრომის უსაფრთხოებას.

კომპანიის იურიდიული მისამართი : საქართველო , თბილისი, ვაკის რაიონი, ზურაბ ანჯაფარიძის II შესახვევი, N1, ბინა N13, ფართი(მშენებარე)

ფაქტობრივი მისამართი : გარდაბნის რაიონი, სოფელი გამარჯვება.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად და წარმოდგენილია ქართულ ვალუტაში - ლარში.



მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში. კომპანია საბუღალტრო აღრიცხვისთვის იყენებს საბუღალტრო პროგრამა “ფინას”.

2.2. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია.

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება კომპანიის მიერ შესაბამის საოპერაციო ვალუტაში(ლარი) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებული საბალანსო ნაშთები საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის გადაიყვანება კომპანიის საოპერაციო ვალუტაში, ანგარიშგების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაყვანით ასახულია პერიოდის სოგება-ზარალში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ამონაგები შედგება მის მიერ მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლებისაგან.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება ყველანაირი გაცემული სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის თანხა. ამონაგებში არ გაითვალისწინება მესამე მხარის სახელით / სასარგებლოდ მიღებული თანხები, როგორცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული დამატებითი ღირებულების გადასახადი. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში ჩაირთვება მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები.



2.3. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა. 2023 წელს ბანკის მიერ კომპანიაზე გაცემული სესხი შეადგენს 2,277,854 ლარს, ხოლო დამფუძნებლებისგან აღებული ჯამური სესხი - 1,383,107 ლარს.

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯები. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია მფლობელისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ნებისმიერი თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის სხვაობის ასახვით მოგება/ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური პროცენტის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაზღვრული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

2.4. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ახალი რეგულაციის მიხედვით, რომელიც 2017 წლიდანაა ძალაში, მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85.

კომპანიას 2023 საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ გაუნაწილებია მოგება და ასევე, არ განუხორციელებია რაიმე ოპერაცია, რომელიც დასაბეგრი იქნებოდა მოგების გადასახდით. შესაბამისად, მოგების გადასახადის ხარჯი ნულის ტოლია აღნიშნულ პერიოდში.



2.5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივის ექსპლუატაციაში მიღებიდან. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განისაზღვრება შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები, რომელიც შეესაბამება მისი გამოყენების ოპტიმალურ პერიოდს. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

მანქანა-დანადგარები	5-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5 წელი
ოფისის აღჭურვილობა	3-5 წელი
ნაგებობა	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი ¹
შენობა	70 წელი



¹ განისაზღვრება სატრანსპორტო საშუალების გამოშვების თარიღის მიხედვით

2.6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია ცვეთის გარეშე.

2.7. მარაგები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგები) ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება საწვავებისგან და ნედლეულისაგან რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის და ახალი შენობა ნაგებობის (საბაჟო ტერმინალის) მშენებლობისათვის.

2.8. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების დაგროვილ მოგება-ზარალს.



2.9. უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აისახება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი

გაცვლითი კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8068 ლარს, ერთი ევროსათვის შეადგენს 2.9306

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2.10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახვას.



1. ძირითადი საშუალებები

ლარი 2022 წელი	ძირითადი საშუალებები	დაგროვილი ცვეთა	საბალანსო ღირებულება წლის ბოლოს
მიწის ნაკვეთები	533,274	-	533,274
შენობები	1,457,193	23,094	1,434,099
ნაგებობები	9,606	1,938	7,668
მანქანა-დანადგარები	34,939	4,109	30,830
ოფისის აღჭურვილობა	23,322	5,758	17,565
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10,624	2,568	8,055
სატრანსპორტო საშუალებები	1,150,998	251,559	899,439
სულ	3,219,956.20	289,026	2,930,931

ლარი 2023 წელი	ძირითადი საშუალებები	დაგროვილი ცვეთა	საბალანსო ღირებულება წლის ბოლოს
მიწის ნაკვეთები	533,274	-	533,274
შენობები	1,457,193	43,898	1,413,295
ნაგებობები	9,606	3,858	5,748
მანქანა-დანადგარები	169,367	12,664	156,703
ოფისის აღჭურვილობა	31,160	10,972	20,188
ავეჯი და სხვა ინვენტარი	11,147	4,722	6,425
სატრანსპორტო საშუალებები	1,219,570	363,680	855,890
არამატერიალური აქტივები	1,186	-	1,186
სულ	3,432,504.47	439,794	2,992,711

ლარი 2024 წელი	ძირითადი საშუალებები	დაგროვილი ცვეთა	საბალანსო ღირებულება წლის ბოლოს
მიწის ნაკვეთები	533,274	-	533,274
შენობები	1,457,193	64,759	1,392,434
ნაგებობები	9,606	5,783	3,823
მანქანა-დანადგარები	192,405	39,384	153,021
ოფისის აღჭურვილობა	56,342	15,600	40,743
ავეჯი და სხვა ინვენტარი	11,147	7,026	4,121
სატრანსპორტო საშუალებები	751,956	303,105	448,850
არამატერიალური აქტივები	1,186	-	1,186
სულ	3,013,109.63	435,657	2,577,452

2. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში	9,295	636,072	22,584
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში	50,319	21,904	209,462
საბანკო ანგარიში არარეზიდენტ ბანკში	5,655	1,419	336.64
სულ ფულადი სახსრები	65,269	659,394	232,383

3. სავაჭრო ვალდებულებები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებში ასახულია დაახლოებით 190 კრედიტორი. კრედიტორული დავალიანების დაფარვა ხდება 15-30 დღის განმავლობაში. ასევე, კრედიტორთა გარკვეული რაოდენობის დავალიანების დაფარვა ხდება ერთი კვირის ვადაში.

ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო ვალდებულებები იურიდიული პირების მიმართ	233,700,53	274,671,84	1,280,369.84
სავაჭრო ვალდებულებები ფიზიკური პირების მიმართ	-	-	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	233,701	274,672	1,280,370

4. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ხელფასი	383,376,26	349,562,01	180,282
თანამშრომლის სარგებელი	-	-	-
ოფისის ხარჯი	19,244,40	23,657.26	29,717
კომუნიკაცია	2,745,72	2,745,72	3,068
რეკლამა	1,404,90	-	1,332
დაზღვევა	12,297,14	22,282.35	20,707
საკონსულტაციო ხარჯები	1,238,52	13,494,93	25,646
მარკეტინგის და წარმომადგენლობითი საწევრო ხარჯები	95,243,09	-	86,229
ბანკის ხარჯი	22,485,04	20,394,34	19,608
ჯარიმა	-	2,000,00	1,595
ცვეთა	178,347,84	167,317,46	158,457
სხვა ხარჯები	145,620,19	309,421,46	173,109
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	862,003	910,876	699,748

5. სესხები

ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გრძელვადიანი სესხი დამფუძნებლებისგან	1,383,107	1,457,075	1,985,990
გრძელვადიანი სესხი ბანკისგან	2,277,854	2,477,377	833,400
Total loans	3,660,962	3,934,452	2,819,390

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ყველა თანხა არის მოკლევადიანი, რომელიც წარმოშობილია არაუგვიანეს 6 თვისა. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია რეალურ ღირებულებასთან მიახლოებულ თანხად. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. 2024 წლის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნის თანხებში ასახულია დაახლოებით 42 დებიტორის მოკლევადიანი მოთხოვნა. დებიტორული მოთხოვნის დაფარვა ხდება 15-30 დღის განმავლობაში. ასევე, დებიტორთა გარკვეული რაოდენობა დავალიანებას ფარავს ერთი კვირის ვადაში. სავაჭრო მოთხოვნა 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 351 358,53 ლარს.

